

გაზეთი დაიწყო წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: გვერდი ერთი სტრიქონი „პეტრიტი“ პირველ გვერდზე—10 კ. მეორეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
ქ. № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართულთა ამხანაგო-ბის კიოსკში (ქვეშევითი ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გა-
მოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა,
11 საათიდან 1-ლ საათამდე.
რედაქციის კანცელარია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტორუხის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобистъ-Пурцели“—„მოამბე“. ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი

უკანასკნელი წარმოდგენა
შაბათს, 10 თებერვალს 1901 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
მ. ლ. გუნიას საგანგებო
ფე. მესხის, გაბ.-ცაგარლის, ვ. აბაშიძის და კ. მესხის მონაწილეობით 1-ლად ახალი პიესა

ცოხის საიდუმლო

ისტორიული დრამა 4 მოქმედებად მ. გუნიასი, სუმბატოვის პიესიდან.

II
დოქტორის მენტა ქ. გაბუნია-ცაგარლის, კ. მესხის და
ვ. ურუშაძის მონაწილეობით

III
არც იქით, არც აქეთ
ვოლგელი I მოქმედებად მ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ნინო, ფე. მესხი, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, გარგა-
ნთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა და გარელი; ბ. ნინო აბაშიძე, მესხი, ვ. გუნიასი, სე-
ნ-ბე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, იმე-
ლიშვილი, იორდანიშვილი და სხ.

დასაწყისი 8 საათზე.

მასკარადი

„მარდისფერი დონი“
უფასო და იაფფასიან სსსადილს საშუა-
ლად გასაძიერებლად.
მანდილოსნი უნდა იყვნენ მასკებში და ვარ-
სიფერ დონისებში, წინააღმდეგ შემთხვევაში
უნდა გადასდნენ 50 კ. ჯარიმა
დასაწყისი საღამოს 10 საათზე
ბილეთების ფასი 2 მ. 10 კ.

მანდილოსნებს შეუძლიათ მიიღონ თავის
სილეს ბილეთები: ქ. ბ. მ. ა. ჯამბოჯისაგან
ქოსტის ქუჩა, 4), კნ. ბ. გ. ბაბათაშვილი-
გან (რე. ტოვის ქ., საკუთ. სახ.), კნ. მ. შ.
ურაგელისაგან, ქ. ბ. ე. შ. თაბაგისაგან (და-
საბურთალოს ქ., საკ. სახლი), კნ. ნ. ი. თუ-
შიშვილისაგან (ბებუთოვის ქ., 17) და ქ. ბ.
გ. წოგინაშვილისაგან, (სერგისა და ჯერმონ-
ოვის ქუჩების კუთხე, 10).

ფელეტონი

ცხოვრება და ხელმწიფება

დ. კლდიაშვილის მოთხრობები: „სამანიშვილის
დედინაცვალი“, „მოამბე“ 1897 წ. № I, II.
„კამუშაძის გაქრება“, „მოამბე“ 1900 წ.
№ I—IV.

ეს კაცი... სწორედ შეგვადგება კაცს,
რომ თვით ამბავი სსსადილად უფადიყო.*)
ბ. კლდიაშვილის მოთხრობების მთავარი
ბერი და თუ გნებავთ აი მთელი აზრი ჩვენის
ცხოვრებისა, ჩვენის ბეჩავის და საცოდავის
ცხოვრებისა. თუ მთელი ჩვენი ცხოვრება
სასაცილო არ იყოს, საცოდავი ვიქნებო-
მით აღმინებები. მაგრამ თვით ცხოვრება
სასაცილოა. დიას, სასაცილო ვართ ყველანი
ჩვენ და თანაც შესაბრალოდნი, სასაცილოა
და შესაბრალოდნი ყოველივე ჩვენი აზრი,
გრძნობა, მისწრაფება, ლტოლვა, კენკსა,
ბეჭა, სიხარული და ბედნიერება. სასაცი-
ლოა მით, რომ არა-რამ საუკუნო დაუსრუ-
ლებელ უფსკრულთან შედარებით, შესა-
ბრალოდნი მით, რომ სიკვდილისა და გან-
აწილების ბეჭედი ასევე ყოველივეგან.
შესაბრალოდნი და სასაცილოდნი ისიც, ვინც ამას
გრძნობს და კიდევ ვპრინება მსოფლიო
კომედიის როლის აღსრულება, სასაცილოა

დეკლარაცია

(„რუსეთის დეკლარაცია საგანგებოდ“)
7 თებერვალს.

ლონდონი. დეკლარაციის პალატა. კრან-
ბორნი ამბობს, რომ, როგორც ისმის,
რუსეთის მთავრობა არ იქნება წინააღმდეგი
ბრიტანიის კონსულის დანიშვნისა ტფილის-
ში; ბაქოში უკვე დანიშნულია ბრიტანიის
ვიცე-კონსული. — შემდეგ კრანბორნი
ამბობს ტიანძინ-შანაი-გუანის რკინის
გზის შესახებ. მისი სიტყვით, უკანასკნელ
დროს მოხდარა ამგებმა დიდად შეაშფო-
თეს ინგლისის მთავრობა: „ბრიტანიის მთა-
ვრობა ორ აზრს ადგა ამ საგნის შესახებ:
რკინის გზის დაბრუნება და სახელმწიფოებ-
თან მეგობრული განწყობილების დაცვა.
მთავრობამ ამიტომ არჩია მეგობრულად
ეთხოვნა რუსეთისათვის რკინის გზის და-

და შესაბრალოდნი ისიც, ვინც ამას ვერა
გრძნობს და ბრმა, ყურმოჭრილი აღმასრუ-
ლებელია ცხოვრების ფარსისა. ბ. კლდია-
შვილის მოთხრობები ამ გვარის პესსიმიზმის
აღმძვრელია და იგი გვარი პესსიმიზმისა,
დიდად განირჩევა სხვა ჩვენი ახალგაზდა
მწერალთა პესსიმიზმისაგან. ეგ რბილი,
ლმობიერი, ირონიით შეზავებული პესსი-
მიზმი დ. კლდიაშვილისა სრულიად არ წა-
ავავს მკაცრს და სასტიკ პესსიმიზმს შ. არა-
გვისპირდისას. ერთი ხელით თუ გულს
განგმირავს ბ. კლდიაშვილი, მეორეს ხე-
ლით მალამოს წასცხვებს. თუ გულის ამრევ
სურათებს დაგებატავთ, თანაც ამ სურათის
სასაცილო მხარეს დაგანახებთ, წარმოსა-
დენად მომზადებულ ცრემლს თვალის გუ-
ბეში შეაჩერებს და ღიმილს გამოიწვევს,
რომელიც ბოლოს საცილად იქცევა, თუმც
სიცილი აქ ყოველთვის ცრემლ ნარევია და
ცრემლი სიცილის კარებთან შემდგარი. ეს
გახლავთ ინგლისელ მწერალთა ირონიული
მანერა წერისა, ანუ იუმორი, ეს ცრემლით
შეზავებული სიცილი და სიცილით გაბრწყი-
ნებული ცრემლი; სატირაა დიკენსისა
და ტექკერისა და სულ არა ჰგავს აღ-
შფოთებულ და უღმომბელ სატირას ფრან-
გთა მწერლებისას. ეს მეორე ჯოჯოხეთის
ხარხარის აღმძვრელი სატირაა ვოლტერისა,
რომელიც თ. ილია ჭავჭავაძის მანერაა, მის
„კაცია აღამიანში“ სავსებით გამოხატული.

ბრუნება; რუსეთის მთავრობამ ბეჯითად
დაგვარწმუნა, რომ რკინის გზა მან დაი-
ქირა მხოლოდ დროებით, სამხედრო მოსა-
ზრებათა გამო; ის დაგვიბრდა, რომ დავგი-
ბრუნებს რკინის გზის მასალას ყველა მო-
ლაპარაკებაში რუსეთის მთავრობასთან ამ
საგნის შესახებ რუსეთი ყოველთვის მეგო-
ბრულად გვექცეოდა და არა გვაქვს საბუთი
რამეში დავემდურათ. — ორატორს სწამს,
რომ რუსეთს ამ საქმეში არავითარი ცუდი
განზრახვა არა აქვს ინგლისის წინააღმდეგ.
რაც შეეხება ჩრდილოეთის რკინის გზას,
მთავრობამ გაიგო, რომ ისიც მხოლოდ
დროებით არის დაქვრილი. ინგლისმა დაი-
ცვა თავისი პოლიტიკური და ფინანსიური
უფლებანი; ის კმაყოფილია, რომ რუსეთს
მხოლოდ დროებით დაუქვრია ხსენებული
რკინის გზები მეორეს მხრით, ინგლისი
მანჯურის დაქვრის საქმეშიაც დაიცავს
თავის ინტერესებს და უფლებას. „რუსეთის
მთავრობამ დავარწმუნა ჩვენა“ — განაგრძო
კრანბორნი, რომ რუსეთისა და ჩინეთის
შეთანხმებას მანჯურის შესახებ აქვს მხო-
ლოდ „modus vivendi“-ს ხასიათი, რათა
აკილებულ იქნას უწყსოების განმეორება;
რომ მანჯურის რკინის გზაც დროებით
არის დაქვრილი; რუსეთი მაშინვე დასტო-
ვებს მანჯურიას, როგორც კი მიიღებს გა-
ბრანტის, რომ აჯანყება აღარ მოხდება.
რაც შეეხება ნიუ-ჩუანს, მე გგონია, რომ,
თუმცა იქ ნომინალურად რუსეთის სამხე-
დრო წეს-რიგით არის შემოღებული, უც-
ხოეთის საზოგადოებათა კერძო უფლებანი,
ალბათ, არ იქნებიან დარღვეული შესამჩნე-
ვად. „ბრიტანიის პოლიტიკას, დაუმატა კრან-
ბორნი, არა აქვს საგნად ტერიტორიების
დაპყრობა. გარკვეულ დაკითხვის პასუხად
კრანბორნი სთქვა, რომ, რამდენადაც მთა-
ვრობას შეტყობილი აქვს, არც ერთს სა-
ხელმწიფოს არა სწადიან ექსპედიციის გა-

გზავნა ჩინეთის შუაგულში; ხოლო, თუ
ამისთანა ექსპედიციის გაგზავნას ჭეშქრობს
ვინმე, მაშინ ინგლისის ჯარების უფროსე-
ბი, უმეტესად, დავითებთან მთავრობას;
ჯერ მთავრობას ამის შესახებ არავითარი
ცნობა არ მიუღია. გაუღელავს დაკითხვაზე
კრანბორნი უპასუხებს, რომ ტიანძინ-შან-
აი-გუანის რკინის გზა უკვე დატოლილია
რუსებისაგან და გერმანიის მთავარ-სარდა-
ლი მალე გადასცემს მას ინგლისს. ჩემბერ-
ლენი, დეპუტატების დაკითხვის პასუხად,
აცხადებს, რომ მთავრობის პოლიტიკა სა-
მხრეთ-აფრიკის საქმეების შესახებ არ
იცვლება.

ნიუ-იორკი. ვაშინეტონიდან მოსულ ცნო-
ბებით, გრაფ კასინის განუცხადებია, რომ
რუსეთს არა სწადიან სადამოყენო ომის და-
წყება. ამერიკის რკინისა და ფოლადის ნა-
წარმოებებზე ტარიფის მომატება რუსეთი-
საგან აიხსნება არა იმით, რომ რუსეთს
მსურდა სამაგიერო ეხლა ამერიკისთვის შა-
ქარზე ბაჟის მომატების გამო, არამედ იმი-
ტომ, რომ დაცულ იქნან რუსეთის ვაჭ-
რობის ინტერესები.

პარიზი. გერმანიის ელჩმა შაბათს გამო-
უცხადა ლიხენჩანგსა და ცინს, რომ
ვალდებულ 10 თებერვალს დიდ ექსპედიციას
გაგზავნის სიანფუში, თუ ჩინელები იმ დრო-
მდე არ აღასრულებენ სახელმწიფოთა მოთ-
ხოვანს. ჩინეთის რწმუნებულებმა მაშინვე
დეკლარაციით სთხოვეს ქვემო დედოფალს-საჩქა-
როდ აღასრულოს სახელმწიფოთა მოთხო-
ვნაში. ინგლისის საელჩოს წარმომადგენე-
ლმა შეატყობინა ჩინეთის რწმუნებულთ,
რომ ინგლისელებიც მიიღებენ მონაწილე-
ობას ექსპედიციაში და არ დაწყნარდებიან,
სანამ ხელში არ ჩაიდებენ იმპერატორის
სახლობას. რწმუნებულებმა მაშინვე მეორე
დეკლარაცია გაუგზავნეს დედოფალს. იაპონიის
საელჩოს წევრმა შეატყობინა ლიხენჩანგს,

ლუბასა, მის აზრსა და გრძნობაზედ სრული-
ადაც ვერ შეურიგდება სედას, ამგვარ ბე-
ჩავ და სასაცილო ნიადგზედ აღმოცენილს
და მთელ ტანჯვა-ვაებად გარდაქცეულს.
მაგრამ რაკი ავტორი ამ უფერულს ცხოვ-
რებაში შეგვიტყუებს, რაკი ერთს წუთს
წარმოდგენას კაცის შესახებ მიგვაწვები-
ნებს, გვეცოდნება და გვებრალება ეს გა-
ჭირებული, გაღატაკებული „აზნაუშვი-
ლი“, რომელსაც მოსალოდნელის ლუკმის
შემცირება პირუტყვადაც კი გარდააქცევს.
გვებრალება ეს საცოდავი არსება და თით-
ქმის კანონიერად მიგვაჩინა მისი საყვედუ-
რი მამის მიმართ, მისი სურვილი და ძებნა
„ორ ნაქმარების“ ქალისა; მისი გაჭირება,
მისი კომპრომისები, მისი იმედისა და ოც-
ნების გატრუნება. მისი სასოწარკვეთილება
და უსასოება როგორაც ჩვენთვის თან
და თან გასაგები ხდება, რაღაც ნათესაურ
კავშირსა ვგრძნობთ ამ კაცთან, მისი დარ-
დი და სევდები თან და თან ჩვენ გულს
ხვდება და ჩვენში თანაგრძნობას აღძრავს.
რამდენად უფრო და უფრო ვეცნობით ამ
ცხოვრებას, იმდენად უფრო და უფრო სიმ-
შვიდვ და მორჩილება ავსებს ჩვენს არსებას.
თან და თან ეჭვები გვებადება კაცის სიდი-
ადის შესახებ.

ყოველის კაცის აზრი და გრძნობა, რაც
უნდა დიდი იყოს იგი, ვგრძნობთ უბად-
რუკი გამოჩნდება, თუ შეადარებ ცხოვრე-

* „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მოამბე“ 97
წ. II, გვ. 8.

რომ, რადგანაც იაპონელები ემორჩილებიან ვალდებულებას, ამიტომ ისინი მიიღებენ მონაწილეობას ექსპედიციაში. რწმუნებულებმა მაშინ მესამე დეპუტატს გაუგზავნეს დელეგატს.

ბაქოში. ექსპედიცია გაიგზავნება 16 თებერვალს. ამბობენ, რომ ექსპედიციას თვით ვალდებულებები გაუძღვება და მის ხელმძღვანელობით სარდლობას გასწევს გენერალი უარონი.

ბაქოში. კინმა და ლიხუნიანმა იმპერატორის სასახლიდან მიიღეს დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ იმპერატორი შეასრულებს სახელმწიფოთა ყველა მოთხოვნას, მხოლოდ სურვილი აქვს დაწვრილებითი ცნობები მიიღოს ზოგიერთ მცირე მნიშვნელოვან მუხლებსა.

ბაქოში. ელჩებმა 8 დღის ვადა მისცეს ჩინელთა იმგვარ ბრძანების გამოსაცემად, რომელსაც შეუძლია დაამყაროთ სახელმწიფოები. ელჩები ამბობენ, რომ ეს მოთხოვნა ულტიმატუმი არ არის, რადგანაც ის უმთავრესად ეხება ეგზამენების მოსპობასა და იმ გუბერნატორების დაპატიმრებას, რომელთა პრავინციებში აჯანყება მოხდა.

სამხედრო დაწესებულებანი ამხადებენ ახალს ექსპედიციას, რომელიც უნდა შესდგეს 6 რაზმისაგან: ორი გავა პეკინიდან, ორი—ტანძინიდან, ორი—პაოტინფუდან. ყველა ჯარები, მეტადრე გერმანელები, გულ-მოღვიწხე ემხადებიან.

ბაზიზმობნი. კონჯერის დეპეშა განზრახულ ექსპედიციის შესახებ დღეს გადაეცა სამინისტროს. როგორც ხმა არის, კონჯერს წინააღმდეგობა გამოუცხადებია ექსპედიციის გაგზავნის გამო, მაგრამ პროტესტი ელჩებმა უყურადღებოდ დასტოვეს და განაცხადეს, რომ მათ არა აქვთ გავლენა სამხედრო მმართველობაზე.

ნაპოლი. აქ მოვიდა რუსეთის ესკადრა, რომელიც გენუაში მიდის.

ლონდონი. გაზეთ „Truth“-ის სიტყვით, მეფე და დედოფალი მარტის გასულს გაემგზავრებიან კოპენჰაგენში. მეფე-დედოფალი დაპრულების დროს გერმანიაზე გამოიგლიან.

პამბრუზში. 6 თებერვალს დიდ მთავარს აღესპანდრე მიხეილის ძეს და დიდ

მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულს გამართული ჰქონდათ ბრწყინვალე ბალი, რომელსაც დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, მარია თეოდორეს ასული თავის შვილით ოლგა ალექსანდრეს ასულით.

(სალამოს დეპეშები იხილეთ მე-4 გვერდზე)

ეურნალ-გაზეთებიდან

„ეურნალ დე ღესას“ ვერელი კორესპონდენტი შემდეგ საუბრადღებო ცნობებს იწერებს ბალკანეთის პატარა სახელმწიფოების პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ:

„რუსეთისა და ავსტრიის შეთანხმებამ რამდენიმე სხით კარგად დაამუშავა ბალკანეთის სახელმწიფოების სახელმწიფოება. რუსეთი გაერთიანდა ადამიანთა სახელმწიფოების სახელმწიფოება. ავსტრია კიდეც თავის შინაურ არაუფ-დარულებას მოუწია. ეხლა კი, ვგონებ, რომ ამ დაშვებებს ბოლო მოეღება. იმას ვერ ვიტყვით, რომ ავსტრიაში მნიშვნელობას ადარსდებოდნენ რუსეთთან შეთანხმებას, ან ეჭვს თვლით უყურებდნენ რუსეთის ქვეყნის ბალკანეთში; მაგრამ თითქმის გარეშეობა ისე მოიცნა, რომ ბალკანეთის ესხანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ავსტრიის სასარგებლოდ აღარ არის. ბოლშაკოვს დაემორჩილა რუსეთის გავლენას და უახლოვდება სერბიას. ხალხი თითქმის ეს უკანასკნელი ქვეყანა, რომელიც ვიცით, ამ ბოლოს დროს რუსეთს უმჯობესდება. რუმინია, — ეს ერთადერთი მომხრე, სამთა კავშირისა, — დღესუდღეა ეკონომიკურად და ფინანსურად ცუდი მდგომარეობაშია. აქვს ამ სახელმწიფოს, როგორც რუმინიას, შეტაკება მოუვიდა ბოლშაკოვს, მაშინ გერმანიამ და ავსტრიამ ცარიელი თანხმობის გარდა სხვა დახმარება ვერა გაუწიეს რუმინიას. ეს იმუშავებდა იყო რუსეთისათვის მიემართნა და მხოლოდ რუსეთში მთავრად ეს ორი პატარა სახელმწიფოა.“

„ცნობილმა ეკონომისტმა ჟორჟ ლევიმ ეურნალ „ვესტნიკ ფინს სოფ“ ში დაბეჭდა სტატია შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ინგლის-ბურების ომის ინგლისის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობისათვის. ლევის აზრით, ომის წინათ ინგლისს მთელი სამხედრო ხარჯი 1.030 მილიონი ფრანკი ჰქონდა. ესეც ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჰქონდა ამოღება ხარჯი, თორემ წინად უფრო ნაკლები ჰქონდა. სამ-

ხრეთ-აფრიკის ომის დაწყების შემდეგ სამხედრო ხარჯი უნდა მატებოდა. 1899 წლის აქტობერში ხარჯის კანტელმა გაქვს ბიშპი განაცხადა, რომ ომი დაწყებამ 250—270 მილიონი ფრანკი, ხოლო 1900 წლის მარტშივე იმან ასწია ეს ციფრი 1,100 მილიონამდე. შემდეგ, 1900—1901 წლის ხარჯთაღრიცხვით, (მხოლოდ 1901 წლის 31 მარტამდე სამხედრო ხარჯებისათვის დანიშნული იყო 2,225 მილიონი, ესე იგი თითქმის ერთი-ოთხად მეტი წინა წლის ხარჯებზე; ამავე წელს საფრანკეთს ჰქონდა სამხედრო ხარჯი 1,023 მილ.; გერმანიას—962 მილ. და რუსეთს—1093 მილიონი ფრანკი. ამოღება ხარჯების გასაგრძელებლად ინგლისის მთავრობა იმუშავებდა იყო ესესხა ფული, თუმცა ბოლო დრომდე ინგლისში მტკიცედ იცავდნენ გლადსტონის პრინციპს, რომ ომის ხარჯები უნდა გადახდილიყო იმ-ათ-ბამ, რომელშიც ომი გამოცხადდა, მაგრამ ამ ომისათვის აღებული სესხის გადახდას დაიწყებენ მხოლოდ 1910 წლიდან. სესხების გარდა, მთავრობამ ხარჯებსაც მოუმატა: პაუბი და შემოსავალზე გადასახადი გააძლია. საზოგადოდ ინგლისში ფული გაძვირდა, ფულის სარგებელმა ძლიერ შემოიჭრა და უკვეა ნაწარმოებმა ფასში აიწია. ავტორის აზრით, ინგლისის ამის იქით მოქალის უფრო ნაკლები დიდებული და ბრწყინვალე მდგომარეობა, ვიდრე ომის წინა ჰქონდა. ამერიკის, გერმანიის და საფრანკეთის ბირჟები მოკლებულნი გახდებიან ინგლისის ჩვენ უნდა დავუშვათ, — შექნისხვს ლევი, — რომ ინგლისს შეუძლია აიტანოს და გაუძლოს ყველა ფინანსურ გაჭირვებას, რომელიც ამ ომმა გაუჩინა, რაც უნდა გაებას და რაც უნდა ბევრი სხვა-და-სხვა მოულოდნელი დაბრკოლება გადაეღოს გზაზე. ავტორმა იცის, რომ ინგლისის ერთი არა ჰქავს იმით, ვისაც სასოება ეკარება დამარცხებისა, ის არ გადაეხვეს გზას, რაჟამს დაბრკოლება აღმოუჩნდება, მაგრამ მინც ავტორი ჰგონებს, რომ ბურებთან ომში ისეთი ძლიერი ზარალი მიჰყავს ინგლისის ფინანსებს, რომ ამისთანა ზარალი მთელი საუკუნის განმავლობაში არ დასდგამია ინგლისს.“

ახალი ამბავი

8 თებერვალს დანიშნული კრება რუსიდიდან გადმოსახლებულთა დამხმარე საზოგადოების წევრთა არ შესდგა, რადგან სა-

იგი არა სცხრება, თავს არ იხრის უღმობელის ცხოვრების წინაშე და მედრად, მხნედ წინ მიდის ბრძოლის. თუ დიდს არას მოცლის, ის მაინც დღევანდელს მდგომარეობას ვერ შერიგებია, რადგან კარგი იყოს ეს მდგომარეობა, მას უკეთესი უნდა, საუკეთესო მომავლისაკენ ილტვის. მისი სული და გული, მისი აზრი და გრძნობა გაუშვამდარია. ცხოვრების საუკეთესო ელემენტებს, მისს ცოცხალ წევრებს სწორედ ისინი შეადგენენ, რომელთაც დაუდგომელის ხასიათისანი არიან, რომელთაც დღევანდლობა მოსწყენიათ და მომავლობით და სულ უმჯობესისაკენ ილტვიან. „გული კაცისა კრულია, ხარბი და გაუძლომელი“, დიდი გაუძლომელი, რადგან მისს გულში ნიადაგი უმყოფილება სუფევს. ის კაცი, რომლის გულიც დაწყნარებულია და დამშვიდებული, მკვდარია, სიცოცხლეს მოკლებული, იგი აღარ მოძრაობს და მოძრაობა ხომ სიცოცხლის მომასწავებელია. მაგრამ, საბედნიეროდ, ვერცერთი კაცი სწორედ რომ ძნელი მოსაპოვებელია. კოტად თუ ბევრად ყველა უკეთესს იძიებს, არავის ეხლანდლობა არ აკმაყოფილებს. მდიდარი უსაზღვრო სიმდიდრის შეძენასა სცდილობს, ამა თუ იმ სახელმწიფო წესწყობილების დამკველიც კი სცდილობს საუკეთესო გზაზე დააყენოს იგი თვით უზედნიერესი მიჯნური კიდევ მეტს იძიებს თავის სატრფოსაგან—დაუსრულებელს, საუკუნო სიყვარულს, თვით ღმერთად მიჩნეული მეგობარი არ კმაყოფილდება ამგვარს გაღმერთებით და კიდევ მეტი უნდა; მხნე მომარს მთელის ცის-ქვეშეთის დაპყრობა მსურს; ნიჭით აღჭურვილს ხელოვანს ერთხმად თაყვანის-ცემა მთელის ქვეყნიერებ-

ში როცხვი წევრებისა არ მოკლდა. ზეგდგი კრება დანიშნა 18 თებერვლისათვის.

გზათა სამინისტროს გადაწყვეტილებით ნავთის მილის განაკეთებლად სადგურთა ტალიდან ხაშტამდე 44,444 მეტრის ბაქოდან სადგურ „ვოლჩი ვოროტამდე“ 400,000 მან.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იცნენ კავკასიის მთავარ-მართებელმა გადასცა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა 1000 მანეთი ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად, 500 მან. ამ წლის პირველ ნახევარისათვის და 500 მეორე ნახევრისათვის მაგრამ რადგან შემწეობის მთხოვნელთა რიცხვი ერთობ დიდია, განზრახვა აქვს სთხოვონ მთავარ-მართებელს, რათა წლის მეორე ნახევრისათვის გადადებული 500 მანეთი ეხლავე გადაეცეს სამზრუნველთა ზოგიერთ თხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ქ. ოზურგეთის საბჭოს ერთ წევრთაგანს განუსაჩივრებია სენაკში ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საკრებულოს დადგენილება, რომლის ძალით ადგილობრივი ქალაქის მოსახლეს ნახევრად შეუმცირდა ჯამაგირი: 1200 მან. მაგიერ მიეცემა 600 მან. („ნოვ. ოზოზ.“).

სამხედრო-საექიმო ინსპექტორს ბ. მალინინს თავი დაუწებებია ხმონობისათვის მოუცლელობისა გამო.

კავკასიის საბეითალო გამგებმა სთხოვა ამიერ კავკასიის გუბერნატორებს შეატყობინონ მას, თუ რა ზომებია საჭირო საქონლის ჰირის ერთის გუბერნიიდან მეორე გუბერნიაში გადასვლის შესაჩერებლად.

ოთხშაბათს, 7 თებერვალს, სანაღბთეატრში ქართულ კითხვათა სექციის მიერ გამართულ იყო კონცერტი. კონცერტი იმდენი ხალხი მიიწვია, რომ ბევრი უბოლოობისა გამო უკან დაბრუნდნენ. კონცერტმა მხიარულად ჩაიარა, რითაც ხალხმეტად ნასიამოვნები დარჩა.

ხვალ, 10 თებერვალს, ავქალოს სახლში თეატრში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება თ. რაფ. ერისთავის ცნობილი კომედია-ვოდევილი „ბიძისთან გამოხუმრება“ და „მოულოდნელი საჩუქარი ვოდევილი, თარგმანი ა. ცაგარლისა.

ახლო მომავალში ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სისხლის სამართლო

ბის საიდუმლოებას, ჩვენის დასაბამისა და დასასრულის გამოუტყვევებლობას. ყოველი კაცი ვერც სასაცილო და საბრალო ხდება, თუ კი მისის ოცნების ზრდასა და დაქვეითებას გაიფიქრებინებ. ყოველის ადამიანის დიდი სურვილები ვერც დაეძინება ხოლომე უფსკრულისაკენ, როგორც პლატონა სამანიშვილისა. ისტორია და ცხოვრება, ბუნება და მათის გარდუვალის კანონების უღმობელობა და სისასტიკე თან და თან ითხოვს ჩვენის გიჟურის, ალტაცებულის, უსაზღვრო ლტოლვილებისა და სურვილების შემცირებას, ამ სურვილების შეზღუდვას და შემოკლებას, მათ კალაპოტში ჩაყენებას. ნიადაგ იმის ძებნაში ვართ, რომ ჩვენი მოუწოდებელი ოცნება განვახორციელოთ, ხორცი შევასხათ მას და ამიტომ თან და თან ვამპირებთ, თან და თან ვიწრო ფარგალში ვაყენებთ მას, მაგრამ ყოველივე ცდა ტყუილია. განვება, გამოუტყვეველი, ფატალური ბედი განუსაზღვრელი კანონი ცხოვრებისა თავის დიადსა და ბრწყინვალე მსვლელობას შეუდრეკელად ასრულებს და ფეხ ქვეშ თელავს ყოველივე ჩვენს მოსაზრებას, ყოველივე ჩვენს დიპლომატიურ ოინებს და კომპრომისებს. პლატონა სამანიშვილი და ნაპოლეონი ორივე „ჩრდილი ჰია“ არის მოუწოდებელისა და აბსოლიუტურის განგებლისათვის. ნაპოლეონის სურვილი საცისქვეშეთი იმპერიის შექმნისა ისეთივე უზედურად გათავდა, ისეთსავე სასაცილო ოცნებად შეიქმნა, როგორც პლატონას სურვილი მამულის განუყოფელად მთელად შენახვისა. პირველ შემთხვევაში ბუნებისა და განგების იარაღად ვიღაც უმნიშვნელო გენერალი შეიქმნა, მეორეში კი საწყალი, გულ

უბრყვილო, სამანიშვილის „ორ ნაქმრები“ დედინაცვალი. ამგვარი ევოლიუცია ხდება მკითხველში, როცა ჰკითხულობს ბ. კლდიაშვილის მოხსენებულ მოთხრობას და გასაციანდ მომხადებული მისი პირი სახე სამგლოვიარო ფერს ღებულობს და მზად არის მწარე ცრემლები დაანთხიოს, თუ პლატონა და მისი „გაბრეკილი“, ზურგ გადატყაული ბედაური და მითი მოგზაურობა არ გაახსენდება. და თუ ეს გაიხსენა, ისევ ღიმილი მოერევა, წიგნს დახურავს და იტყვის: „სწორედ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო“.

მართალია, კაცის ოცნება ცხოვრებისაგან ყოველთვის შემუსვრილი რჩება, მაგრამ კაცი სიმხნევს მაინც არა ჰკარგავს. იგი ერთს იმედს ჰკარგავს, სხვა ახალი იმედი აღედგება, ერთ რამეში წარეკვეთება სასოება, სამაგიეროდ სხვის გამო მისი სასოება ფრთას შეისხამს. კაცის რთული ცხოვრება ამაში გადის, მისი ოცნება და იმედები ჰქრებიან და ხელ-ახლად აღდგინდებიან. მთელი მისი ცხოვრება ბრძოლაა დაუსრულებელი საწადელ ოცნების მიღწევისათვის და დაუბოლოვებელი დამარცხება ამ ბრძოლაში, რადგან, რამდენსაც მიიწევს საღტოლველ საგნისადმი, იმდენად ეს საგანი მისგან შორს გაიწევს. კაცის ცხოვრების მხატვრული გამოშახება სიზიფის მიფი. საბრალო სიზიფი დიდს ლოდს აავიკრება მაღალს მთაზე და მიიტანდა თუ არა წვერამდინ, ქვა ქვევითკენ დაეძინებოდა.

მოუხედავად იმისა, რომ ბრძოლა და მოქმედება ჩვენი ასე უნაყოფოდა თავდება ხოლომე, კაცის მშვენიერება და მისი სულის სიმდიდრე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ

სა, მას ისიც კი სწადიან, რომ ვარსკვლავები ყურს უდებდნენ მისს გალობას. ხეფა და ყვავილები მისის სიმღერით ერთობდნენ და ბუზბუზი, ეს „აშკიო მეფე“, მის სიტყვებში თანაგრძნობას ხედიდეს.

ეხლა ქამუშაძის გაჭირვებაც გაიხსენებოთ, არ მოიგონებთ ეკვირინეს, მისის მედიტორბით, დიდის გვარის ჩამომავლობის კვენა-ქებით. არ გავიწყდება მისი წვრილმანი შელხული თავ-მოყვარეობა იმის გამო, რომ მისი შეილს ქველიძემ ქალი არ მისცა; იმისი გულუბრყვილო ცბიერება და ხერხები რძლის მოსატყუებლად და იმის დასაწამუნებლად, რომ მისი შეილს ოტას დიდ-ძალი მამული აქვს დაუსრულებელი მისი ოცნება და იმედი იმისა, რომ მისი შეილს ყველაფერს „ღმერთის მისცემს, ღმერთი მისცემს“. გაიხსენებთ ოტას ქველიძეებისაგან დაჩაგრული, „რომელიც ძლიერ ნაღვლობდა თავისს შერცხვენას და მუდამ იმისს ფიქრში იყო, რომ რამენაირად ღვთის შეწევნით, მათ ჯობრზე ისეთი ქალ მოეყვანა, რომ სარდიონის ქალს-სჯობნებოდა. ოტამ კიდევაც მიაღწია თავის საწადელს და ბევლარ ჯინჯარაძის და სონია შვირთოა გაქნილის სოფლის „აბლაკატის“ პორფირ ბიძაშვილის შემწეობით ქორწილიც კარგი გადაიხადა ოტამ, სტუმრებიც კმაყოფილნი დარჩნენ, მაგრამ იმდენი, როცა ეს ქალი შვირთოა, მისი ტანჯვა-ვიების დასაწყისად გარდაიქცა. ოტი გადატყეული აზნაურთაგანი იყო. მის მდგომარეობა გაჭირვებული იყო და რატიკოლშვილის მოყვლა, გაჭირვებამ იმატა ამ სილატაკე და სიღარიბემ იმ თავითვე მიიპყრო ქალაქელი ქალის სონიას ყურადღება და ამ საბრალო ქალისათვის დაუსრულებელის სევდის წყაროდ გარდაიქცა.

წყობილება განიხილავს საყოფადღებო საქმის თვალის ეკლესიის მღვდლის სულისკეთის, რომელიც პარალელურად ფორმალურ ბარკალიას ცრუ დაბეჭდვას.

ტენიკი აგანჯანოვი დაინიშნა ქაქის არქიტექტორად ნაცვლად ქურდიასა, რომელიც დაინიშნა ქალაქის წყლის ღებების გამგელად.

7 თებერვალს ტფილისის ქალაქის მეტეობამ განიხილა „ჭელიოსის“ წარმომადგენლის განცხადება, რომლითაც იგი თხოვლობდა უზენონ მას ნაკულებფანგებანი-ს-მიერ წარმოდგენილ ქალაქის ელექტრონით განათების პროექტისა. გამგებამ უყუარდებოდ დასტოვა ეს განცხადება, რადგანაც, მისის აზრით, პროექტის ნაკულებფანგებთან აღნუსხვა იგივე პროექტის შეგენა იქნებოდა, და ეს კი შეადგენს „ჭელიოსის“ მოვალეობას და არა გამგებობისას.

ტფილისის გუბერნატორმა წინადადებას ქალაქის ქალაქის თავს, რათა მან შეიკრას სისრულეში მოყვანა სამკოლს და განიხილოს შესახებ მამულებთან სოფლის ცხოვრებლების საქონლის გადასახადისაგან თავისუფლებისა და ქალაქის დამფასებლებისათვის შედგენილ ინსტრუქციებისა.

თანამად ტფილისის გუბერნატორის წინადადებისა, გორის თვით-მმართველობამ დაწესა ნიხრი შენობების პროექტის განხილვისა და დამტკიცებისა.

ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ხალხისა, ახალქალაქისა და სხვაქალაქების თვით-მმართველობათ, რათა მათ წარმოუდგინონ მას დასამტკიცებლად აღვითხოვონ ბაზრების მიხედვით შედგენილი ნიხრი მაზრის უფროსების საშუალებით.

გარანკოვის ქუჩის მცხოვრებთ უჩივლიათ ტფილისის გუბერნატორთან. საჩივარი გამოუწვევია იმ გარემოების, რომ აქ არსებული სახლის ქარხანა ცუდ სუნს აწერს ქუჩას და პერს აფუჭებს; აგრეთვე იმისა, რომ რადგან მირზოვეის აბანოში მაზრის მმართვენი, ახლო მდებარე სადგომები ქუჩიდან და ავეჯი, თეთრეული და სხვა ქუჩდება.

შენდამის გასწორება. გუშინდელ ფეხტისში მე-8 კაფანაში დაბეჭდილია: „აირველ რიგზე უნდა იყოს აირველ რიგზე“.

თეატრი

აბუზა. ოთხშაბათს საზოგადო წარმოდგენას სახანო თეატრში სადღესასწაულო ხასიათი ჰქონდა. ამ დღეს ხსენებულმა თეატრმა პატივი სცა დიდებულ ვერდის ხსენებას, და გარდა ამისა, პირველად ტფილისის საზოგადოებამ მოიხმინა სიმღერა ქ.ბ. ტერიან-ყორღანოვისა; ხოლო თვით წარმოდგენა ტფილისის ოპერის დახელოვნებულ მესეტროს, ბ. ბარბანის საბუნებისოდა იყო გამართული.

ახლოდ გარდაცვალების უდიდეს კომპოზიტორის ვერდის სახელის პატივსაცემლად დადგმულ იქნა მის ოპერიდან „ერნანი“ მესამე მოქმედება ამ მოქმედების ბოლოს კარლოსი (ბ. კამიონსკი) აღიღებს იმპერატორის კარლოს დიდის სახელს. კარლოსის მაგიერ მომღერალი იხსენიებდა ვერდის. ამ დროს სცენა წარმოდგენდა მშვენიერს სანახევს. მაღალ ადგილის იდგა განსვენებულის კომპოზიტორის ბიუსტი; აქეთ-იქით იდგნენ არტისტები იმ ტანსაცმელში და გრიშიში, როგორცაც თამაშობენ ვერდის ოპერებში; აქ იყო გრუპები „აი-ლიდან“, „ტრაფიტიდან“, „ტრუბადურიდან“, „რიგოლეტოდან“, „ოტელიოდან“, „ბალ-მასკარადიდან“ და სხვ., როდესაც კამიონსკიმ იმღერა „დიდება ვერდისა“, „დიდების ჰენიოსმა“ შეამკო სახელოვანის კომპოზიტორის ბიუსტი გვირგვინით. საზოგადოება აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგება ამ მანიფესტაციას და გაამეორებინა არტისტებს მთელი სცენა.

შემდეგ წარმოდგენილ იქნა ვერდისვე ოპერა „აიდა“. ეს ტეტილი და მუსიკალური ოპერა ძალიან მწყობრად იყო აღსრულებული. ყველა არტისტები, ხოლოც, ორკესტრიც მარჯვედ ხელს უწყობდნენ ანსამბლს. საზოგადოების ყურადღება მიქცეული იყო აიდას როლის აღმსრულებელ ქ.ნ. ტერიან-ყორღანოვისაზე. ეს არტისტი კარგახანა მოღვაწეობს რუსეთში, მაგრამ ტფ. საზოგადო სცენაზე პირველად გუშინ-წინ გამოვიდა. არტისტი მეტად გამოცდილია და ხელოვნურად თამაშობს; ხმაც (დრამატული სოპრანო) საკმაოდ მძლავრი და სასიამოვნო აქვს. საზოგადოებას ძალიან მოეწონა მისი სიმღერა-თამაში; სამ-

წუხაროდ, პარტიორო (ბ. მარკი)—რადამისის როლის აღმსრულებელი—ვერ პეპელა რიგინი.

თეატრი ავსილი იყო ხალხით.

პროპონიცია

ფაზა-ხვსუაში, 5 თებერვლი. შარშნდელი წელი ჩვენ, ფშე ხევესურეთისთვის მეტის მეტად ავი გამოდგა. სწორედ წარსულ წელზე ითქმის: წასვლა შენი და აღარ დაბრუნება; ჯერ ერთი რომ ეკონომიურად მოგვცა ზანა—შური ძაღას მცირედ მოვიდა, და მეორე, ჩვენს ფიზიკურს უოკა-მდგომარეობასაც დასვა თავისი დადი. შარშან შემადგომით გავრცელდა ხევესურეთში ექვ-ჭირვება, ანუ, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი ამბობენ, ექვსი ტეივლი და სახის გაანახევრა. ხევესურეთიდან გადმოვიდა ფშეში და აქაც ბავშვებს მუსრს ავლებს, არც კი დაიბეს, ასე 15—16 წლი სებს ინდაბს. სამწუხარო უფრო ის არის, რომ მოკლებულნი არიან ექამთა დახმარებას. მთელს თანეთის მაზრას მხოლოდ ორი ექამი ჰყავს—ასმეტისა და თანეთისა. პირველი მათგანი ერთხანად მოდიოდა აკილობრივ და სწამლობდა ავთოჟოფებს, მაგრამ ბოლო დროს რადაც აკვი თვალწენა და ზურგიც შემოკვამცია.

დღეს ჩვენ მხოლოდ ერთად-ერთი ექამი გვყავს, ბ.ნ. ჯ. ჯანსიშვილი, რომელიც თავს არა ჰხოვებს და ცდილობს დაეხმაროს სსეულთა, თუმცა იმის მუშაობას ვერ მოაქვს სასურველი ნაყოფი, რადგან ექვლებს მხოლოდ დეკთია და ეს ერთ კაცს არ ძალუძს: სსეულებს კი ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა სოფლებში იწენს თავს.

ამავე სსეულების წყალობით, დღეს მაღაროსკარის სსსოფლო სოფლა დაუქმებულია, რადგან ექვ-ჭირვება იქაც გაჩნდა და ორი ექამივით კიდევ იმსვენება.

იქაურა

ახალციხე. ჩვენის ქალაქის ძველს ნაწილში (რასათში) სამი ათასზე მეტი ქართველი კათოლიკენი არიან და ერთად-ერთი სოფლა ახალით, რომელიც, როგორც კაც. ცნობის ფურცლის მკითხველებმა იცნან, ეს 3—4 წელიწადია რიგზე აღარ სწამებულს.

ამ სოფლაში სწავლა დაიწყო 1900 წ. ოქტომბრიდან და—აი, დადგა თუ არა თებერვლი,

მზრუნველებმა ხალხს გამოუცხადეს, რომ სოფლადავტა და თქვენს შეილება ნუღარ განიკარგებით სოფლაში. კანისა მშობლების განიკარგებით ხალხმა ათასი პირი სთხოვა მზრუნველებს: „ბავშვებო, ჩვენი შეილების განიკარგება რა სოფლა რიგანად შეიწახეთ, ან არა და მზრუნველობას თავი დაანებეთ, რომ ჩვენს სხვანი ამოვირჩიოთა. მაგრამ, მზრუნველებმა ამ სიტყვებზე უფრებდნენ „იბერტეეს“ მხოლოდ კი ადღეს ბატენი თვისნი და რქვეს ხალხს მას: „სოფლას 150 მან. მეტი შემოსავალი არა აქვს და მეტსაც ვერ დაგზარდავითა“.

როგორც ამას წინათაც მოხსენებულ იქნა, ამ სოფლის თანხისა და მამულების შემოსავალი წელიწადში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 300 მანეთის უდრის, რითაც, ჩემის აზრით, სოფლა კარგად შეიწახება; და თუ ამას ვსტუთოდ, ვთხოვ ბ. ბ.ნ. მზრუნველთ, რომელიმე გაზეთის საშუალებით თავი გამოართდონ და სსეულებური თავიდან აიცილონ, თუ არა და სოფლა რიგზე შეიწახნ.

მაშინ, როდესაც ეს ქართველ კათოლიკეთა სოფლა ასე უკან-უკან მიდის, ქაური ქართველ მართლ-მადიდებელთა ერთგვანადი საეკლესიო სოფლა, როგორც შეიბრეკეთ, წელს ორგვანად უნდა გააქვთ.

ბავრატ ბუთაშელი

ნაწილი ვიქილის ს. ჯ. ჯაფარიძის დია წერილის პასუხი.)

Calumniare audacter, semper aliquid hairet.

გხლა, მე მგონია, საკმაოდ არის გამოჩვეული, ვინ უფილა მეთაური ამ საქმეში და რა ფასი აქვს ამ თქვენ ხრიკებს!

ეს გარემოება საკმაოდ გვიხსნის, რა საიდუმლო სარჩული აქვს თქვენს საქციელს. ესევე გარემოება გამოარკვევს თქვენი შემდეგის არა საქები მოქმედების მიზანს—უკან დახვევას. თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ჯერ უნდა შევთანხმდეთ შესახებ იმისა, თუ რა გვარაა სამსჯავრომ გავასამართლოს და ამასთან მიჩვენო „ჩვეულებრივ“ მედიატორის სამსჯავროს, ესე იგი ამხანაგების რიცხვიდან ამოვარჩიოთ ორ-ოლი მსაჯული და იმათ მესტეთ, თავმჯდომარე, უნდა ამოვარჩიონო. მაგრამ ამაზე დთანხმება არ შეიძლება და აი რა მიზეზით. პირველად უნდა

*) იხ. „სწოლის ფურც.“ № 1377.

ამგვარი სურათებისა და ამბების ურებას სხვას ახლა თავის თავზე უფრო ძალა-უნებურად ეყრდნობა, თავის მდგომარეობაზე ანიშნება. ექვლასაგან და უოველ მხრიდან მხოლოდ გჭირვებულ და შეიწირვებულ ცხოვრებაზე ჩივდები რომ ესმდა, იგივე შიშში ჩაყარდა, ვაი თუ მეც ამითანავე და ამოგვარსავე მდგომარეობაში ვყოფილი და მხოლოდ ვერ ვაშენებდეთ. ეს შიში მათ უფრო იმერობდა, რომ, რასაც ვერ შედედა ამ ახალ ფაქტში, საიმედოს არაფერს შეიძლება მომავლისთვის; ვ რაფერს ბედნიერებას იგემებდა მასზე მოიმედებ და მარტული ჯანმანა... ექამივით ქალს აუტანელი მოუსვენება და გულის წუხილი ერეოდა და ერთი მეორეზე უფრო უნებკეში სურათები თვალწინ ესტუმბოდა. (ყველგან ავტორის მართლწერა არის დაცული).

ამ შიშმა გაქირვების წინაშე, ამ გალატაკებულმა მდგომარეობამ საერთო ფიქრი და მწუხარება დაჰბადა ოჯახის ყველა წევრში:

„აჰჰაჰა იყო, რომ ამ კაცის (ოტას) გულში რადაც ხდებოდა, რომ მასში ადრული იყო რადაც ახლა აზრი... ოტა წინანდებურად გმადარ ჰგონებდა თავის თავს; წინანდებურად მოსვენებით აღარ იყო, თუმცა ამი შემსწავლ მასში არც ასე ადვილი იყო. და ეს მწუხებელი ფიქრი იყო სწორედ ის ხელმოკლეობა და გაჭირვებაში ცხოვრება, რომელიც ახლა ამ ქალის ცოლად მოუწასა შედეგ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა მისთვის დღით დღე და რაც ათასგვარ ფიქრებს აწვევდა თავზე და აქამდის უნებოდდ ღარდებს ჰგონდა. მისმა სინამდისიერობამ რომ დაჰგონებდა ცოლის მდგომარეობაზე მის ოჯახში, მის ოჯახის ამავე სულ სხვანაირად მოსვენება, დასახლება და თითქმის ბრძა-

ყოფილს თვალები ახილდა... ამ თვალთა ახილვას... ეკვირინეს არ იყო, ვინ იცის სად არ მიჰყავდა იგი და რა აზრებს არ უფრდებოდა, რომ გზა ეპოვნა თავის სედეზალებს და გაჭირვებული ცხოვრების, სულ იუ არა, ცოტათი მაინც, გამოსაბრუნებლად.

ამგვარად ჩვენი ოტა ქამუშაძეც ცხოვრების უკმაყოფილოთა წარმომადგენელი ხდება და დიდს ენერგიას იწენს დღეინდღის მისი ცხოვრების ზურგის შესაქცევად: სოფელს დასტოვებს და ქალაქს მიამუშრებს, რადგან სოფელში აღარაფერი სიკეთეა... გაქირვებისა და უბედურების მეტი... ეგებ იქ (ქალაქში) მაინც ეშველოს კაცს. იქ მაინც სცდის თავს! თუ დაიღუბება, სულ ერთია, აქაც ხომ მეტი არ მოელოს“. ამგვარად ოტაც სხვა მის გაქალაქებულ მეზობლების გზას გაჰყვა. ოტა ისეთი კაცია, რომელიც ვერც „იქ“ დაჰმყოფილდება, იმიტომ, რომ გამდიდრება-გაღაღება არც „იქ“ მოელოს. ერთად-ერთი მისი წამქმნელები იმედი ის არის, რომ იქნებ „იქ“ მაინც ეშველოს“, ცოტა უფრო ნაკლებ გაქირვებაში იქმნეს. ავტორი არაფერს წინასწარმეტყველობას არ გვამცნებს მისი მომავლის შესახებ, მაგრამ ჰგონობთ, რომ სალახანა ბეგლარ ჰინჭარაძისა და პორფირ ბიაშვილის იმედით დარჩენილი ხალხი ფონს ვერ გაუ, და „გაქირვების“ სამუდამოდ მონა მორჩილნი იქმნებიან.

თუ „სამანიშვილის დედინაცვალი“ პლატონის იმედების თან-დათან გაქრუების სურათია, თუ იქ პლატონის არც ერთი სურვილი უდიდესიდან დაწყობილი (მამამ რომ ცოლი არ შეირთოს) თვით უმცირესამდის (დედინაცვალს „გოგო“ ეყოლოს) არა

სრულდება, სამაგიეროდ „ქამუშაძის გაქირვებაში“ ეკვირინეს და ოტის სურვილები თვით უმცირესიც აღსრულებიან, მაგრამ ამ აღსრულებას სურვილისას თან სდევს ისეთივე მწარე და გულის მომწველელი სევდა, როგორც პლატონის იმედების განქრობას. ოტა სასურველ ცოლს შეირთავს ქველიძეების ჯიბრზედ; მაგრამ ეს შემთხვევა მის გაქირვებულ ცხოვრებას აგრძნობინებს და ღრმა უკმაყოფილებას ჩანერგავს მასში; ოტის საწარტრელი ვაჟი გყოლებს, მაგრამ ოჯახის რიცხვის გამრავლება ერთი-ორად უმწვევებს გაქირვების დარდებს. ოტა ქალაქში გაიქცევა სოფლიდან, იქნებ იქ მაინც ვიწოვო რამეო, მაგრამ სხვა მათ მსგავსავეთ ეს „შოვნა“ მათთვის დიდს არას შეიცავს, მხოლოდ სურათის შეცვლა და ერთ ხანს ესეც კი გულის მოაფხანინებს სასოება დაკარგულ კაცს. და ეს მოთხრობაც იმავე ღრმა სევდას სტოვებს თქვენს გულში, როგორც პირველი.

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ბ. კლდიაშვილის სამაგალითოდ აქვს შესწავლილი ჩვენი სიღარიბით გათვლილის აზნაურების ყოფა-ცხოვრება. საოცარის სინამდვილით გვიხატავს იგი მათ თან-და-თან გაღატაკებას, გაქირვებას. გვიხატავს ახლის ცხოვრების დაწყებას, სოფლებების გაქალაქებას, რომელიც დღეინდღის ეკონომიურის წეს-წყობილების შედეგია. ხოლო კლდიაშვილი როდი ემყოფილდება იმით, რომ ამ მოვლენების გარეგან მხარეს გვაჩვენებს, იგი ამ ნიადაგზე აღმოკენილ მისს გმირების სულის ვითარებას გვისურათებს, მათ სევდა-ვარამის მოწმედ გვხდის და ამით მის ნაწარმოებს ეძლევა ისეთი განსაკუთრებული

ინტერესი, რომელიც ჩვენს მწერლობაში სწორედ ახალი რამ არის. ეს მანერა მისი—მოქმედ პირთა სულიერის მოძრაობის აღნიშვნისა—სიმბოლიურ მნიშვნელობას აძლევს მის ნაწერებს და ეს ნაწერები იმ მრავალგვარ აზრს და სხვა და სხვა გვარგონობას ბადებენ ჩვენში, რომლის გამოც ვემოდ ვილაპარაკეთ. სწორედ ამის მიზეზით, სწორედ იმიტომ, რომ ასეთი მრავალმხრივი აზრისა და გრძნობების აღმძვრელია, ბ. კლდიაშვილის ნაწარმოები მეტად საინტერესო და საყურადღებო ხდება, მიუხედავად მისა, რომ უმნიშვნელო, უბრალო და უმნიშვნელო ცხოვრებაა შიგ აწერილი. და თუ გნებავთ სწორედ იმიტომ უფრო საინტერესო ხდება ბ. კლდიაშვილის მოთხრობები, რომ გვახედებს ხოლმე უფერულისა და უმნიშვნელო სინამდვილის ძირში და მით ქვეშ დამალულს ღრმა და მწარე აზრს ცხოვრებისა შეგვამცნებინებს ხოლმე. მხოლოდ ერთი შენიშვნა უნდა მივსცეთ ბ. კლდიაშვილს. საჭიროა დიდი ყურადღება მიაქციოს წერის კილოს, ანუ სტილს. ყოველად მოუხერხებელია ასეთის ნიჭიერის მწერლისათვის ისეთი შეცდომებით წერა, რომელთა მაგალითი ჩვენგან ამოწერილ ციტატებშიც კი სჩანს. მე დარწმუნებული ვარ, რომ არ შესაძლოა ბ. კლდიაშვილი იმ აზრის იყოს, რომ ფორმას, ენას ლიტერატურულის ნაწარმებისათვის არა ჰქონდეს მნიშვნელობა. ეგ ერთ ხანას რუსეთში იყო მოღალე, მაგრამ დღეს აქაც დიდ ყურადღებას აქცევენ სტილის დამუშავებას.

კატა აბაშიძე.

